ოქმი:ო63. 63240222
თარიღი:22/01/2024

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ.სამტრედია 17 იანვარი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 17 იანვარს, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223362113 წერილობითი მომართვის განხილვა.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

3. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (10) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

ირაკლი მელაშვილი - კომისიის სხდომაზე მოწვეული გვყავს მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნატალია, რომელიც მოგვახსენებს ინფორმაციას ზემოაღნიშნული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ნატალია მანჯგალაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა **243 700 ლარს;** (კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ასიგნება - **117 500 ლარი**; ახალგაზრდულ ღონისძიებათა ასიგნება -**43 100 ლარი;** სპორტულ ღონისძიებათა ასიგნება **-83 100** ლარი;). სამსახურის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები:

-სპეციალურ რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებისათვის საშობაო ამანათების შეძენა.

-გაიმართა საშობაო კონცერტი.

-ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ნატო გელაშვილის კონცერტი და სამტრედიელი ხელოვანი ქალბატონების ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვა.

- 21 მარტს აღინიშნა ქართული ჟურნალისტიკის დღე.

- მერაბ პაქსაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული კონცერტი.

- ღამე მუზეუმში. (მოწვეული იყო პოეტი თემურ ელიავა)

- ჩატარდა სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის წარმატებული მოსწავლეების კონცერტი.

-ჩატარდა ანსამბლ „ეგარი“-ს კონცერტი.

- დაფინანსდა სამტრედიელი ახალგაზრდების მონაწილეობა პროექტ „აღმოაჩინე საქართველო“-ს მარტვილის ბანაკში.

- ანაკლიის ბანაკში სამტრედიელი ახალგაზრდების მონაწილეობა.

- ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ სასკოლო ჩემპიონატი.

-26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ტურნირი მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში, ასევე ჩატარდა დოღი.

-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა კონცერტი-. მოეწყო მულტიკულტურული ფესტივალი საჯარო სკოლების ჩართულობით.

-გაიმართა 2023 წლის გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოება.

-სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობის უზრუნველყოფა (ფორმები, კვება, ტრანსპორტირება) რეგიონალურ თამაშებში.

-სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა 23 ივნისი ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე.

- ჩატარდა მოყვარულთა ტურნირი ჩოგბურთში ‘სამტრედია 2023“.

-დაფინანსდა სოფ. გომის ტურნირები ფეხბურთსა და ფრენბურთში.

- 27-28 აგვისტოს ჩატარდა სამტრედიის გრან-პრი ცხენოსნობაში, აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები და მსაჯი დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებით, ფულადი ჯილდოთი.

- სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩატარდა ვოკალის აკადემიის მოსწავლეების ,პროექტ ,,რანინა"-ს მონაწილეების კონცერტი.

-21 სექტემბერს სოფელ დიდ ჯიხაიშში ტრადიციულად გაიმართა დოღი სხვადასხვა დისტანციაზე , აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები და მსაჯი დაჯილდოვდნენ მედლებით, თასით, სიგელებით, ფულადი ჯილდოთი.

-23-29 სექტემბერს მიმდინარეობდა სკოლების ჩართულობით მსოფლიო ოლიმპიზმის კვირეული სპორტულ თამაშებში.

- სახალხო დღესასწაული „ნიკოობა", აღინიშნა ნ. ნიკოლაძის 180 წლის იუბილე, ჩატარდა კონფერენცია, ტურნირი ჭადრაკში, თეატრალიზებული წარმოდგენა და კონცერტი კვარტეტ „რანინა"-ს და ტრიო „ალეგრო"-ს მონაწილეობით.

- ნიკო ნიკოლაძის 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით დამზადდა ბანერები.

-14-15 ოქტომბერი ა. მაჩიტიძის სახელობის სამტრედიის მემორიალი ჭადრაკში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, სიგელებითა და ფულადი პრიზით.

- შეიქმნა მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, საბჭოს წევრებისათვის დამზადდა სამტრედიის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლიკის მქონე ხელნაკეთი სუვენირები.

- ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშები, გამარჯვებული სკოლების გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ თამაშებში.

-წლის მანძილზე სხვადასხვა სამხატვრო გამოფენებში მონაწილე სამტრედიელი მხატვრები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი.

-ჩატარდა ვაჟა ტერელაძის სახელობის საჭადრაკო ერთ დღიანი ბლიც-ტურნირი, ტურნირში მონაწილე გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი.

- დამზადდა საცურაო აუზის რეაბილიტაციამდე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოები.

-18-19 ნოემბერს ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტებზე ჩატარდა სამტრედიის ღია ტურნირი მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის, აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასით, სიგელებით, მედლებითა და ფულადი ჯილდოთი.

-აღინიშნა 3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის დღე.

დღის ცენტრ ,,ლამპარი "-ს აღსაზრდელებისათვის შეძენილი იქნა საახალწლო სუვენირები.

-4 დეკემბერს მოეწყო შშმ ნიჭიერი თვითნასწავლი ხელოვანის გიორგი მეშველიახის პერსონალური გამოფენა, რომელსაც გადაეცა სუვენირი და ფულადი ჯილდო.

-სამტრედიის საჭადრაკო სკოლის წარმატებული მოჭადრაკე გიორგი ელაშვილი დაფინანსდა, რომელიც დეკემბერში მონაწილეობას მიიღებს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ საჭადრაკო ფესტივალში.

13-14-15 დეკემბერს ჩატარდა ვ.ხელისუფალისა და მ. ქიშმარიას სახელობის ღია ტურნირი ხელბურთში

-19 დეკემბერს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართება

ქუთაისის საბავშვო მუსიკალური-იუმორისტული სტუდია „იშვიათი იმერლები“-ს საახალწლო იუმორისტული კონცერტი.

-22 დეკემბერს დაგეგმილია 2023 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სამტრედიელების დაჯილდოვების ღონისძიება.

-23-24 დეკემბერს ტარდება იოანე და თემურ ვაშაკიძეების მემორიალი ინტ. თამაშში- „რა,სად, როდის“

-25 დეკემბერი- ქალაქის მთავარი ნაძვის ხის ანთება: სანტებისა და ანიმაციური პერსონაჟების მსვლელობა, საზეიმო კონცერტი, ფეიერვერკი.

-27 დეკემბერს ჩატარდება შემეცნებითი ღონისძიება „ნ. ნიკოლაძე- პირველი ევროპელი“

-30 დეკემბერი საახალწლო ღონისძიება.

- წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის განხორციელდა ყვავილების შესყიდვა და ტრანსპორტირება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, მოცემულ პერიოდში პარალელურ

რეჟიმში სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამინისტროების, გუბერნიისა და

მოქალაქეების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი

ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მიწოდება როგორც წერილობით, ასევე

ელექტრონული ფორმით. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა შესაბამისი სამინისტროების, საპარლამენტო კომისიების მიერ მოწყობილ ონლაინ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და დადებითად შეაფასეს.

ნუგზარ ჯამბურია - მადლობა მინდა გითხრათ ამომწურავი ანგარიშის წარდგენისა და მუშაობისათვის.

აკაკი მინაშვილი - მივესალმები ინიციატავას, ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოს შესახებ.

გოჩა არველაძე - თქვენი ჩართულობა ყოველთვის თვალსაჩინოა სხვადასხვა ღონისძიებებში,რისთვისაც მადლობას გიხდით.

ირაკლი მელაშვილი - მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გაწეული საქმიანობისთვის და ორგანიზებულობისთვის, ყოველი კულტურული თუ სპორტული ღონისძიებისას.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

დღის წესრიგის I I საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223362113 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლისთვის ანდრია რაზმაძის სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართა სოფელ ჩხენიშის მცხოვრებლებმა, რომ საჯარო სკოლას მიენიჭოს მსოფლიოში

გამოჩენილი მათემატიკოსის, სოფელ ჩხენიშში დაბადებული ანდრია რაზმაძის სახელი.

გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტაცია არასრულყოფილია, საკითხი დაუბრუნდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი